

საქართველო საქართველო

#2 (7) 2009



საქართველო საქართველო

სარჩევი

- 4** ლესიაობა: ქართულ-უკრაინული მეგობრობის
ტრადიციული ზეიმი სურამში
Лесьяоба: Традиційне свято грузино-
української дружби в Сурамі
- 12** დავით გურამიშვილის სახელობის მირგოროდის
ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი 40 წლისაა
Миргородському літературно-
меморіальному музею Давіда Гурамішвілі 40
років
- 16** საქართველოს კუთხეები: კახეთი
Куточки Грузії: Кахетія

ЗМІСТ

- 18** ბორჯომისა და სამცხე-ჯავახეთის უკრაინელები
Українці Боржомі й Самцхе-Джавахеті
- 27** უკრაინელთა მემორიალი ბორჯომის ხეობაში
Меморіал українців в Боржомській
ущелині
- 32** საბავშვო გვერდი: კახეთი
Сторінка для дітей: Кахетія
- 34** საქართველო სტუმრის თვალით
Грузія очима гостя

ლესიაობა:

ქართულ–უკრაინული მეგობრობის ტრადიციული გვიმი სურამში

ვალენტინა მარჯანიშვილი

ЛЕСЯОБА:

ТРАДИЦІЙНЕ СВЯТО ГРУЗИНО–УКРАЇНСЬКОЇ ДРУЖБИ В СУРАМІ

Валентина МАРДЖАНІШВІЛІ

უკრაინელი ხალხის საამყო შვილი ლესია უკრაინკა თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან, სადაც მწერალმა ქალმა ცხოვრების ბოლო ათი წელი გაატარა. სწორედ ქართულ მიწაზე შეწყვიტა ძგერა მისმა მგზნებარე გულმა. მოგვიანებით მისი ნატანგი სხეული მშობლიურ მიწას დაუბრუნდა, სული კი მარადისობაში გადავიდა, რათა უკრაინელი მწერალი ქალის ხატება სამუდამოდ დარჩენილიყო არა მარტო მშობელი ხალხის მეხსიერებაში, არამედ იმ ქვეყანაშიც, რომელმაც მისი ჭირი და ლხინი გაიზიარა, უმასპინძლა, შეიფარა და სული გაუთბო.

წლები გადიან, ასწლეულები ილევიან, ციხესიმაგრეებისგან მხოლოდ



სლავეტა დონკა უკრაინського народу Леся Українка своєю життєвою й творчою біографією тісно пов'язана з грузинською землею, де прожила в останні десять років, де перестало битися її палке серце, звідки її зболене тіло назавжди повернулося в рідну землю, а душа полинула в безсмертя, щоб «вічно жити» в пам'яті народу не лише свого рідного, але й братського.

...Минають роки, десятиліття, руїнами стають фортеці... Плине невпинний час, а в пам'яті людства лишається найдорожче, безцінне...

«Hi! Я жива! Я буду вічно жити!», – вигукнула Леся вустами своєї героїні, і щирість цих слів стала істиною не

нанგრევებილა თუ რჩება... უწყვეტად მიედინება დრო. ის დრო, რომელსაც მხოლოდ ყველაზე ძვირფასი და ფასეული უძღვება...

«არა! მე ცოცხალი ვარ! მე მარადიულად ვიცოცხლებ!», – ლესიამ თავისი გმირის ბაგეებით წარმოთქმული ეს წინასწარმეტყველური სიტყვები არა მხოლოდ მის მშობლიურ მიწაზე იქცა ჭეშმარიტებად. «ლესია უკრაინკა» – ეს სახელი და გვარი საქართველოშიც ამოტვიფრულია ძეგლებზე, მემორიალურ დაფებზე. ქართულ მიწაზე მის სახელს არაერთი ქუჩა ატარებს და მწერალი ქალის ნაკვალევით არის მოფენილი თბილისის, ბათუმის ქუჩები. მას თელავშიც უვლია, ქუთაისშიც, ხონშიც, და რაღა თქმა უნდა სურამშიც...

სურამი – საქართველოს ერთერთი ულამაზესი ადგილია. იგი ჩვენთვის, უკრაინელებისთვის განსაკუთრებულად ძვირფასია, რადგან ეს ქალაქი ლესია უკრაინკას სიცოცხლესა და მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული. სწორედ აქ გარდავიდა იგი მარადისობაში.

«სურამიდან ლესია უკრაინკა მარადისობაში გარდავიდა,

лише на рідній землі. «Леся Українка» – викарбовано на пам'ятниках, меморіальних дошках, написано у назвах вулиць там, де лишила вона свої сліди на грузинській землі в Тбілісі, Батумі, Телаві, Кутаїсі, Хоні і, в решті решт, Сурамі...

«Сурამі – один з найпрекрасніших куточків Грузії. Нам, українцям, він особливо дорогий у зв'язку з життям та діяльністю Лесі Українки. Саме звідси вона пішла у безсмертя».

1951 року грузинська громадськість широко відзначила 80-річчя від дня народження Лесі Українки. У Тбілісі відбувся творчий вечір пам'яті української поетеси. Її іменем назвали одну з вулиць у центрі столиці, а також у містечку Сурамі. Уряд Грузії прийняв рішення про встановлення пам'ятника в Сурамі та відкриття музею в будинку Ніколоза Абазадзе. З того часу в останні дні жовтня відбувається грандіозне свято «ЛЕСЯОБА» – свято щирої споконвічної дружби



სურამში იგი მშვენიერ ქმნილებაშია გარდასახული — თამარ აბაკელიას ძეგლსა და არაჩვეულებრივად ორგანიზებულ გამოფენაში. იგი ხალხის გულებში ბინადრობს...»

1952 წლის 3 აგვისტოს სურამში ლესია უკრაინკას ძეგლი და მისივე სახელობის ბიბლიოთეკა—მუზეუმი გაიხსნა და ამ დროიდან, ოქტომბრის თვის იმ საოცარი დღეებიდან მოყოლებული, დაფუძნებულ იქნა გრანდიოზული ზეიმი — «ლესიაობა» , ანუ ჩვენი ერების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ნამდვილი ზეიმი.

1951 წელს ქართველმა საზოგადოებამ ლესია უკრაინკას გარდაცვალების 80 წლისთავი აღნიშნა. ქ. თბილისში უკრაინელი პოეტი ქალის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. მისი სახელი თბილისისა და სურამის ცენტრალურ ქუჩებს დაერქვა.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით ლესია უკრაინკას ძეგლის აგება სურამში, ხოლო მისი მუზეუმის გახსნა ნიკოლოზ აბაზაძის ყოფილ სასახლეში გადაწყდა.

გრანდიოზულად აღნიშნა ქართველმა ხალხმა მუზეუმის გახსნა. შესრულდა «სიმღერა ლესია უკრაინკაზე», რომლის ტექსტიც პოეტ სანდრო ეულს , მუსიკა კი მერი დავითაშვილს ეკუთვნის. გუნდის ხელმძღვანელი, სურამის მკვიდრი, ლოტბარი სოლომონ იაშვილი გახლდათ.

ქალბატონი ნელი აბაზაძე—ჯანგველაძე იგონებს: «მე—7 კლასში ვიყავი, სურამის საშუალო სკოლიდან მოსწავლეები წაგვიყვანეს. ყოველი კუთხიდან ხალხი ფაეტონებით, ცხენებით, ფეხით მოდიოდა, სადღესასწაულო განწყობა სუფევდა ირგვლივ, გაკეთდა ცოცხალი კედელი მუხებიდან მუზეუმამდე. ეზოში ხალხი არ ეტეოდა და ბავშვები ხეებზე

наших народів.

3 серпня 1952 року на 39 роковини смерті поетеси за ініціативи Георгія Леонідзе було відкрито бібліотеку її імені з постійно діючою музейною виставкою і встановлено пам'ятник роботи скульптора Тамари Абакелія.

Грандіозним заходом відзначив грузинський народ відкриття музею. Пролунала пісня «Леся Українка» на слова Сандро Еулі та музику – Мері Давіташвілі. Керував ансамблем мешканець Сурамі Соломон Іяшвілі.

Згадує пані Нелі Абазадзе–Джангвеладзе: «Я була у 7–му класі, коли нас, учнів сурамських шкіл, взяли на свято. З усіх куточків збирався народ: фаетонами, пішки, на конях. Повсюди відчувався святковий настрій. На подвір'ї не вистачало місця і діти повилазили на дерева. Пам'ятаю гарно вдягнених людей, які говорили про Лесю Українку й Давида Гурамішвілі, про дружбу народів. Потім почався концерт, зазвучала чонгурі, загув барабан і пролунали оплески. Чарівна жінка не стрималася і пішла в танцювальне коло. Не пам'ятаю, як опинилася поперед неї, і ми разом закружляли в танку. У нагороду отримала її поцілунок. Хвилювання, що пережила тоді, й досі пробігає мурашками по шкірі. Тією жінкою була невгасима кінозірка Нато Вачнадзе».

25 лютого 1953 року відзначили день народження поетеси. Серед гостей були Дмитро Косарик, Любов Забашта, Георгій Леонідзе, Леван Асатіані, Нато

იყვნენ ასული. მახსოვს ლამაზად ჩაცმული სტუმრები, რომლებიც ლესია უკრაინკასა და დავით გურამიშვილს იხსენებდნენ, და ორი ქვეყნის მეგობრობაზე საუბრობდნენ. შემდეგ გაიმართა კონცერტი, აწკრიალდა ჩონგური. აგუგუნდა დოლი და იქუსა ტაშმა. ლამაზი ქალი, ხელგაშლილი შევიდა საცეკვაო წრეში, მე აღმოვჩნდი მის წინაშე და მასთან ერთად ვიცეკვე. ჯილდოდ მისი კოცნა დავიმსახურე, ის განცდა, რომელიც განვიცადე — დღესაც ჟრუანტელს მგვრის. ეს ქალბატონი ქართველი ჩაუქრობელი კინოვარსკვლავი, ქალბატონი ნატო ვაჩნაძე გახლდათ.»

1953 წლის 25 თებერვალს ლესია უკრაინკას დაბადების დღე აღინიშნა, სადაც სტუმრებს შორის იყვნენ დიმიტრი კოსარიკი, ლუბოვ ზაბაშტა, გიორგი ლეონიძე, ლევან ასათიანი, ნატო ვაჩნაძე, თამარ აბაკელია, ირაკლი აბაშიძე და სხვა არა ერთი გამოჩენილი პიროვნება.

ამ დროს უკრაინაში, მირგოროდში, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი, რათა გამოჩენილი ქართველი მოღვაწის, დავით გურამიშვილის ხსოვნისადმი პატივი მიეგოთ.

ჯერ კიდევ მე—19 საუკუნეში დიდი ქართველი მწერლები ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, საგანგებოდ ეძებდნენ დავითის ნეშტს. დიდაი დმიტრო კოსარიკის დამსახურება მისი საფლავის პოვნაში. 1948 წ. მირგოროდში, ეკლესიის გვერდით, სწორედ მან აღმოაჩინა დავითის საფლავი, სადაც უკრაინელმა ხალხმა დიდი პატივისცემით აღმართა ობელისკი წარწერით : «აქ განისვენებს დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი, გარდაცვლილი 1792 წელს».

გურამიშვილის განსასვენებელთან საქართველოდან ჩასულმა დელეგაციამ მოიყარა თავი. პოეტის საფლავი დაფნის გვირგვინით შეამკეს. შალვა რადიანმა მუხლი მოიდრიკა და დავით გურამიშვილის აჩრდილს ქართულ ენაზე მიმართა: «დიდო დავით, სამშობლომ დაგვაბარა გადმოგცეთ შენი მშობლიური ქვეყნის უზომო სიყვარული. ამიერიდან შენ არ ხარ უპატრონო და მიტოვებული. შენს წმიდა საფლავს აფარის მოძმე ხალხის სიყვარულის სათუთი კალთა». შალვა რადიანმა მთრთოლვარე ხელით გახსნა ჩანთა, რომელშიც მთაწმინდაზე — ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა—ფშაველას საფლავებიდან აღებული თითო მუჭი მიწა იდო. ქართული დელეგაციის მიერ სასოებით ჩამოტანილი მშობლიური ქვეყნის მიწა, რომელსაც სამშობლოდან გადახვეწილი პოეტი მთელი სიცოცხლე ნატრობდა, ჩუმი შრიალით დაეყარა მის საფლავს. პროფესორმა ბარამიძემ საქართველოს მოღვაწეთა სახელით დიდი მადლობა გამოუცხადა უკრაინის მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებს დავით გურამიივილის საფლავისა და სახელის სათუთად შემონახვისათვის.

1949 წელს მირგოროდში დ. გურამიშვილის ძეგლი გაიხსნა. ეს მოვლენა დაუეწიყარ ზეიმად იქცა. ორი ძვირფასი სახელის —დავითისა და ლესიას ისტორიულმა ბედმა,

Вачнадзе, Тамара Абакелія, Іраклій Абашідзе та інші видатні особистості.

А в цей час в українському Миргороді зібралися представники інтелігенції, щоб вшанувати грузинського поета Давида Гурамішвілі.

Ще в 19–му столітті великі грузинські письменники Ілля Чавчавадзе та Акакій Церетелі прикладали великих зусиль, щоб віднайти могилу Давида. Але лише завдяки наполегливим пошукам Дмитра Косарика 1948 року в Миргороді, поблизу церкви вдалося знайти його останній притулок. Український народ встановив обеліск з написом: «Тут похований великий грузинський поет Давид Гурамішвілі. Помер 1792 року».

Біля могили поета зібралася делегація з Грузії. Лавровим вінком вбрали могилу. Грузинською мовою почав свій виступ Шалва Радіані. Опустившись на коліна, він звернувся до праху поета: «Великий Давиде, Батьківщина доручила передати велику безмежну любов до тебе. Віднині ти не є бездомним і кинутим. Твою святу могилу застеляє покров братерського народу». Тремтячою рукою відкрив Шалва Радіані пакуночок, у якому грузинська делегація привезла по пригоршні землі з могил Ніколоза Бараташвілі, Іллі Чавчавадзе, Акакія Церетелі та Важа Пшавела з пантеону на Мтацмінді (Свята гора). Земля з далекої Батьківщини, про яку все життя мріяв поет, з тихим шерехом посипалася на його могилу.

Так історична доля двох дорогих імен Лесі й Давида навіки поєднала грузинську й українську землі, Сурамі й Миргород, однаковою любов'ю, що живе в серцях людей.

Історія полюбляє паралелі. Рівно через 121 рік по смерті Гурамішвілі у серпні пішла у вічність українська поетеса Леся Українка. Грузинський народ трепетно береже її ім'я. В музеї поетеси – багато відвідувачів і подарунків від них.

Переслідувана тяжкою хворобою, українська поетеса протягом останніх десяти років проживала в різних куточках Грузії. Любов до цього краю змусила її сказати слова: «Якби я не була українкою, хотіла б бути грузинкою». Вона отримувала тут творче натхнення, бо «...поезію і здобувати не треба, сама оточує навколо...».

З дня відкриття музею протягом 57 років приходять сюди відвідувачі і засвідчують свої почуття в книгах вражень, яких вже назбиралося понад 40!

«Музей Лесі Українки – один з визначних монументів дружби народів» – написав у книзі Гуго Губерт 17.09.1953р. Неможливо перелічити всіх, хто лишив

სურამი და მირგოროდი, უკრაინული და ქართული მიწა სამუდამოდ დააკავშირა ერთმანეთს, გააერთიანა იმ დიდი და მარადიული სიყვარულით, რომელიც ხალხის გულებში დღესაც ცოცხლობს.

ისტორიას უყვარს უცნაური პარალელები. დავითის მირგოროდში გარდაცვალებიდან ზუსტად 121 წლის შემდეგ, სურამში უკრაინელი პოეტი ქალი ლესია უკრაინკა გარდაიცვალა. ქართველი ხალხი მის სახელს სათუთად უფრთხილდება. მისი მუზეუმი სურამში დღესაც დამთვალეირებრებითა და საჩუქრებითაა სავსე.

მძიმე სენით შეპყრობილმა უკრაინელმა პოეტმა სიცოცხლის ბოლო ათი წელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაატარა. საქართველოსა და ქართველი ხალხის სიყვარულმა მას ეს სიტყვები ათქმევინა: «მე რომ უკრაინელი არ ვიყო, ქართველობას ვინატრებდიო». საქართველოთი მოხიბლული პოეტი შემოქმედებით შთაგონებას იღებდა, რადგან «აქ პოეზიას ძებნა არ უნდა, თვით გარტყია გარს», — ასე წერდა იგი.

მუზეუმს გახსნის დღიდან უამრავი დამთვალეირებელი ჰყავს, რაზეც ორმოცდაერთი შთაბეჭდილების წიგნი მეტყველებს. არაერთცნობილადამიანს აქვს დაფიქსირებული სიყვარულითა და მადლიერებით აღსავსე სტრიქონები. «ლესია უკრაინკას მუზეუმი ხალხთა დიადი მეგობრობის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონუმენტი», ჩაუწერია შთაბეჭდილების წიგნში ჰუგო ჰუბერტს 1953 წლის 17 ნოემბერს.

შეუძლებელია ყველა იმ ადამიანის ჩამოთვლა, ვინც მუზეუმს ესტუმრა, და თავისი სულის ნაწილი იმ კეთილ სიტყვებთან ერთად დაგვიტოვა, რომელიც მიმართული იყო უკრაინელი ხალხის საამაყო შვილისა და ქართველი ხალხისადმი, ხალხისადმი, რომელიც ასე სათუთად ინახავს მის სახელს.

90-იანი წლები მთელი საქართველოსათვის მეტად მძიმე აღმოჩნდა. პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა სფერო მოიცვა. სურამში, ზამთრის პერიოდში არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, ყველაფერი კიდევ უფრო რთულად იყო. რამდენიმე წლის განმავლობაში მუზეუმის თანამშრომლები შუქისა და გათბობის გარეშე მიზერულხელფასზე (15 დოლარის ეკვივალენტით) მუშაობდნენ. იყო ექვსთვიანი პერიოდიც, როცა ადგილობრივმა კულტურის განყოფილებამ ლიკვიდაცია განიცადა. ამ პერიოდში, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მაინც ყველა მოდიოდა და მუზეუმს უვლიდა. მთელი ამ ხნის მანძილზე მუზეუმიდან არცერთი ნივთი არ დაკარგულა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობისთვის ბრძოლისა და თავის გადარჩენის ჟამი იდგა..

2001 წელს ლესია უკრაინკას დაბადების 130 წლის იუბილზე, უკრაინის საელჩოსა და საქართველოს კულტურის სამინისტროს თაოსნობით მუზეუმის ინტერიერი განახლდა,



частинку своєї душі в добрих словах, висловлених донці українського народу й грузинам, що трепетно бережуть її ім'я.

Мені, як сучасній людині і племінниці Лесі Українки, приємно бачити і відчувати пошану грузинського народу до праці моєї родички, до тих культурних цінностей, які вона залишила і які любовно вони все бережуть, щоб не пропало нічого даремно, а впало на грузинську землю і розцвіло під ласкавим грузинським сонцем...

90-ті роки були дуже важкими для всієї Грузії. Політична й економічна криза охопила всі сфери життєдіяльності суспільства. В Сурамі все ускладнювалось ще й суворими кліматичними

გალამაზდა ასევე გარე ფასადიც და ყველაფერთან ერთად ახალი გამოფენაც მოეწყო, რაშიც დიდი წვლილი იმ დროის უკრაინის ელჩს საქართველოში — სტეპან ვოლკოვეცკის მიუძღვის, დიპლომატ — იგორ დოვგანიუკთან და სურამის მერთან — ტარიელ გოგოლაძესთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში უკრაინის საელჩოს ყურადღება მუზეუმს 1991 წლიდან არ მოჰკლებია და როცა ჩვენს დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები აღდგა და უკრაინის ელჩის რანგში საქართველოში ანატოლი კასიანენკო ჰუმანიტარულ საკითხებში დიპლომატადი კი ვასილ მელნიკი ჩამოვიდნენ, სხვადასხვა სირთულეების გამო შეჩერებული «ლესიაობის» დღესასწაული მათი მხარდაჭერით კვლავ განახლდა.

სულ მალე, 2004 წელს ნოვოგრაღ ვოლინსკსა და სურამს შორის დელეგაციების გაცვლის ტრადიცია განახლდა, რაც სურამის იმდროინდელი მერის, ტარიელ გოგოლაძის ძალისხმევით მოხერხდა. უნდა ითქვას, რომ ის იმ ხანად ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი იყო მთელი უკრაინის დღესასწაულის — «ლესიას წყაროების» ზეიმის დროს, . ლესიას სამშობლო მაშინ თამარ ჯობაძემ, გოგი გოგოლაძემ, დავით წიქარაშვილმა და ოთარ ხაჩიძემ მოინახულეს. მომდევნო წლის შემოდგომაზე კი ნოვოგრადიდან დელეგაცია

უმოვამი ვ ზიმოვი პერიოდ. დეკილკა როკივ ბეზ სვითლა, ოპალენია, ვ მიზერნოუ ვარობითნოუ პლათოუ (ვ ეკვივალენტი – 15 დოლ.სშა) პრაოუვალა სპივრობითნიკი მუზეო. ბუვ ი шестимісячний період ліквідації місцевого відділу культури. Тоді, без будь-якого фінансування, все одно приходили й зберігали музей. Жодна річ не пропала, хоча то був час виживання.

2001 року, до 130-річчя з дня народження поетеси, з ініціативи Посольства України та Міністерства культури Грузії було оновлено інтер'єр музею та фасад будинку. Велика заслуга в тому колишнього Посла України Степана Волковецького, дипломата Ігоря Довганюка та мера Сурамі Тарієла Гоголадзе.

Треба відзначити, що увага з боку Посольства України відчувається постійно: ще з 1991 року, коли після встановлення дипломатичних зв'язків між нашими незалежними державами в якості Посла до Грузії прибув Анатолій Касьяненко, дипломат з гуманітарних питань Василь Мельник, які сприяли відновленню припиненого в найскладніші часи святкування «Лесяоба».

Традицію ж обміну делегаціями між Новоград –





საქართველოს ესტუმრა.

უნდა ითქვას, რომ ბატონი ტარიელისთვის ლესია უკრაინკას მუზეუმი და «ლესიაობა» მეტად მნიშვნელოვანია. ზამთარში შემოი მომარაგება, მუზეუმის სახურავის შეკეთება, ქართული სტუმართმოყვარეობით უკრაინელი სტუმრების გამასპინძლება — ეს ყველაფერი მისი უშუალო დამსახურებაა. 2008 წელს ტარიელ გოგოლაძე საქართველოში ლესია უკრაინკას საზოგადოების თავმჯდომარე გახდა, რომლის დამფუძნებლებიც არიან ვალენტინა მელნიჩენკო — მარჯანიშვილი, თამარ ჯობაძე, პაატა ლაღუაშვილი, ლია ხაჩიძე. ის, რომ დღეს მუზეუმს განახლებული და შევსებული ექსპონიცი აქვს, სწორედ ამ ადამიანების დამსახურებაა. პროექტის განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვის უკრაინის საელჩოს საქართველოში და უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელთა მხარდაჭერითაც მოხდა მისი დაფინანსება.

უკრაინის ელჩი საქართველოში ბატონი მიკოლა სპისი, მეუღლესთან და ოჯახის წევრებთან ერთად, მუზეუმის ხშირი სტუმარი გახლდათ. იგი ყოველი სტუმრობისას ამდიდრებდა ლესია უკრაინკას საჩუქრების განყოფილებას წიგნებით, სამახსოვრო ნივთებითა და სურათებით. ცირკონის თვლებით შემკული ღვთისმშობლის ხატი სწორედ მისი საჩუქარია.

თუკი სიცოცხლეში ლესია უკრაინკას, ინტელიგენციის ვერო წრიდან მხოლოდ რამდენიმე მეგობარი ჰყავდა, ახლა უკვე მთელი ქართველი ხალხი მისი ერთგული მეგობარია და დიდი პოეტის ხსოვნას გულწრფელად მიაგებს პატივს. მწერალი ქალის ცხოვრება და მოღვაწეობა კი, საზოგადოებრივი ღვაწლისა და პოეტური ოსტატობის ურთიერთ შერწყმის უბადლო მაგალითია.

Волинським та Сурамі було відновлено лише 2004 року зусиллями тодішнього мера Сурамі Таріела Гоголадзе, який у серпні очолив грузинську делегацію на всеукраїнське свято «Лесині джерела». Батьківщину Лесі тоді відвідали Тамара Джобадзе, Гогі Гоголадзе, Давид Цікарішвілі та Отар Хачідзе. А восени наступного року прибула делегація з Новограда–Волинського.

Треба сказати, що для пана Таріела музей Лесі, «Лесяоба» є надзвичайно важливим. Чи завезти дрова взимку, чи полагодити дах музею, чи по–грузинськи прийняти гостей з України – все його піклуванням. 2008 року Т. Гоголадзе очолив Товариство Лесі Українки в Грузії, засновниками якого також стали Валентина Мельниченко–Марджанішвілі, Тамара Джобадзе, Паата Лалуашвілі, Лія Хачідзе. Те, що сьогодні музей має оновлену й поповнену експозицію – заслуга цих людей, Посольства та Міністерства закордонних справ України, яке профінансувало проект.

Посол України Микола Спис разом з сім'єю є частими гостями музею і кожен приїзд збагачують музейний фонд книгами, керамічними виробами, картинами. Ікона Богородиці, прикрашена цирконами – теж дарунок Посольства.

Якщо за життя Леся Українка мала в Грузії лише кількох друзів з вузького кола інтелігенції, то тепер весь грузинський народ щиро шанує пам'ять великої поетеси, життя і творчість якої є взірцем поєднання громадського подвигу з високою культурою поетичної майстерності.

დავით გურამიშვილის სახელობის მირგოროდის ლიტერატურულ–მემორიალური მუზეუმი 40 წლისაა

ტატიანა დიდენკო

МИРГОРОДСЬКОМУ ЛІТЕРАТУРНО–МЕМОРІАЛЬНОМУ МУЗЕЮ

ДАВИДА ГУРАМІШВІЛІ – 40 РОКІВ

Тетяна ДІДЕНКО

16 აპრილის შაბათ დილას დავით გურამიშვილის სახელობის მირგოროდის ლიტერატურულ–მემორიალური მუზეუმი განსაკუთრებულად საზეიმოდ გამოიყურებოდა: უკრაინისა და საქართველოს სახელმწიფო დროშები ერთად ფრიალებდნენ, უკრაინულ და ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ბავშვები ერთ რიგში იდგნენ, ორკესტრი შემართებით უკრავდა. მუზეუმი დაარსებიდან 40 წლისთავს აღნიშნავდა.

აი სტუმრებიც მოვიდნენ: საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში, ბატონი გრიგოლ ქათამაძე, უკრაინის ქართველთა ასოციაცია „იბერიელის“ წარმომადგენლები, პრეზიდენტ ბესიკ შამუგიას მეთაურობით კიევიდან და ქართული გაერთიანება „გეორგიას“ წარმომადგენლები რამაზ ზარქუას თაოსნობით პოლტავიდან. მათ თბილად დახვდნენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ქალაქის რადის თავმჯდომარის, ო.ბ. პაუტოვის ხელძღვანელობით და .

შეკრებილებმა თბილ, ამაღლებველ, საზეიმო ვითარებაში გაიხსენეს მუზეუმის დაფუძნების ისტორია, ნახეს უნიკალური, 40 წლის წინანდელი კადრები 1969 წლის 12 აპრილს მუზეუმის დაარსების შესახებ. მიულოცეს მუზეუმის ვეტერანებსა და ახლანდელ მუშაკებს, დაათვალიერეს სლოიდები, რომლებმაც მუზეუმის დღევანდელი ცხოვრება გააშუქეს.

რით ცხოვრობს დღეს მუზეუმი? აღსანიშნავია, რომ დღეს იგი უკვე არამხოლოდ ქართველი პოეტის მუზეუმი, არამედ ორი ერის მეგობრობისა და ძმობის სიმბოლოსაც წარმოადგენს. უკრაინულ–ქართული კულტურულ–შემოქმედებითი კავშირის გამყარება მუზეუმის ერთ–ერთი მთავარი მოვალეობაა. მისი მუშაკები უკრაინის სხვადასხვა ქალაქში ჩამოყალიბებული ქართული დიასპორების წარმომადგენლებთან თანამშრომლობენ. ისინი მუზეუმის ყველაზე ძვირფასი სტუმრები არიან. უკრაინაში არსებული ქართული დიასპორის წარმომადგენლები აქ ჩამოდიან, რომ საყვარელი პოეტის ხსოვნას პატივი მიაგონ. ამავე დროს მუზეუმთან ურთიერთობა მათთვის სამშობლოსთან შეხვედრის ტოლფასია, დავით გურამიშვილის სახელობის მუზეუმი პატარა

Суботнього ранку 16 травня Миргородський літературно–меморіальний музей Давида Гурамішвілі виглядав святково і урочисто: майоріли державні прапори України та Грузії, діти в українському та грузинському національному вбранні вишикувались у почесні варті, натхненно грав оркестр. Музей святкував своє 40–річчя.

А ось прибули і гості: Надзвичайний і Повноважний Посол Грузії в Україні, Пан Грігол Катамадзе, представники Асоціації грузинів в Україні «Іберієлі» на чолі з президентом Бесіком Шамугія з Києва та члени Полтавського грузинського об'єднання «Георгія» із своїм керівником Рамазом Зарука. Їх гостинно зустріли представники міської влади на чолі з головою міської ради Паутовим О.Б. та численні гості.

У теплій зворушливій атмосфері свята згадали історію створення музею та подивились унікальні кадри старої, 40–річної давнини, плівки про відкриття музею 12 травня 1969 р., привітали ветеранів та теперішніх його працівників, переглянули слайди, які розповіли про сьогодення музею.

Чим сьогодні живе музей? Зараз він вже не тільки музей грузинського поета, він – музей дружби двох народів. Сприяння зміцненню українсько–грузинських культурно–мистецьких взаємин – одне з головних завдань музею. Працівники закладу підтримують зв'язки з представниками грузинської діаспори з різних міст України, які є найдорожчими гостями музею. Приїжджають, щоб вшанувати пам'ять улюбленого поета. І це – як зустріч з Батьківщиною, як куточок рідної Грузії на українській землі.



საქართველოა უკრაინულ მიწა—წყალზე. მირგოროდში ასევე ჩამოდიან სტუმრები საქართველოდან — ბოლო დროს მუზეუმის ღონისძიებების მონაწილენი იყვნენ პოეტის თანამემამულენი, თბილისიდან, სურამიდან, ქუთაისიდან, კასპიდან და საგურამოდან.

დღეს მუზეუმში მირგოროდის კულტურულ—შემოქმედებითი ცხოვრების ნამდვილი ცენტრია. სიტყვის ოსტატებთან და ახალგაზრდა პოეტებთან შეხვედრები, ლიტერატურულ—მუსიკალური საღამოები, კონკურსები და პრეზენტაციები დიდი პოპულარობით სარგებლობს მირგოროდის მცხოვრებლებს შორის, მუზეუმის დარბაზში სშირად ეწყობა ნიჭიერ მირგოროდელ შემოქმედთა ფერწერული, გრაფიკული ნამუშევრების გამოფება, სადაც წარმოდგენილია ასევე, კერამიკა, ფოტო, ნაქარგი, დაწნული... ყველა ეს შემოქმედებითი ღონისძიება მუზეუმის დარბაზში დიდძალ ხალხს იზიდავს და მის მრავალფეროვან და მდიდარ სულიერ ცხოვრებაზე მიგვანიშნებს.

ორმა საათმა სწრაფად გაიარა, თ.ი. ადეშელიძის (მირგოროდში პირველი ქართველი მკვიდრების შთამომავალი) ლ.ო. როზსოხას (დავით გურამიშვილის უკრაინული ცხოვრების პერიოდის მკვლევარი, „ქართველები უკრაინაში. დავით გურამიშვილის გზით“ — წიგნის ავტორი) მოგონებებს ენაცვლებოდა მუზეუმში დაარსებული ლიტერატურული კლუბის წევრების ფერადოვანი თეატრალური გამოსვლები, სტუმართა მილოცვები, მუსიკალური სკოლის მოსწავლეთა მიერ ნამღერი „სულიკოს“ პანგები. ხოლო ბრწყინვალე ფოტოგამოფენამ „ო საქართველო, შენ ღმერთებმა აგირჩიეს...“ (ვ. ბალაცკის ტექნიკური შესრულება) და მირგოროდის ოსტატის, ვ შეგენკოს მიერ ქართულ სტილში კერამიკისგან დამზადებულმა ნივთებმა, ზეიმის მონაწილეებს სასიამოვნო შთაბეჭდილება დაუტოვა.

ზეიმის მთავარი სტუმარი კი, თვით ბატონი დავითი იყო (პოეტის როლი შესანიშნავად შეასრულა ლიტერატურული კლუბის ერთ—ერთმა წევრმა, ს.კუზნეცოვმა), რომელიც კმაყოფილებით აღსავეს უყურებდა ზეიმს, გამოთქვამდა აზრებსა და სურვილებს, და ბოლოს ყველა სტუმარს საზეიმო ტორტით გაუმსაპინძლდა.

ამ დღეს მუზეუმში შეკრებილებმა, დიდი ქართველი პოეტის ხსოვნას ღირსეული პატივი მიაგეს. დავით გურამიშვილის ძეგლთან და სამუდამო განსასვენებელზე თანამემამულეებისა და მირგოროდელებისგან მოძღვნილი ცოცხალი ყვავილები დაეფინა.

მრავალგვარ მილოცვებსა და საჩუქრებს, რომლებიც იმ დღეს მუზეუმმა მრავლად მიიღო, ასევე ამშვენებდა კიევის კულტურულ—საგანმანათლებლო ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივის შვენიერი მილოცვა. მირგოროდელები და ზეიმის სტუმრები მზურვალე ტაშით ეგებებოდნენ ქართულ ლირიკულ და ცეცხლოვან ცეკვებს, ქართული სიმღერებისა და ლექსების ულამაზეს მელოდიებს, რომლებსაც ნიჭიერი შემსრულებლები წარმოადგენდნენ.

ზეიმის ცეცხლი ჩაქრა, უკან დარჩა საიუბილეო თარიღი... მუზეუმის ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი გადაიშალა. წინ ახალი საქმეები, ახალი შემოქმედებითი გამოფენები, ლიტერატურული საღამოები, პრეზენტაციები და შეხვედრებია...

შემოქმედებითი გეგმებითა და ენერგიით აღსავსე დავით გურამიშვილის სახელობის მირგოროდის ლიტერატურულ—მემორიალური მუზეუმი შემართებით და იმედით შეჰყურებს მომავალს.

Не оминають Миргород і гості з Грузії – земляки поета з Тбілісі, Сурамі, Кутаїсі, Каспі, Сагурамо були останнім часом учасниками музейних заходів.

Сьогодні музей – справжній осередок культурно–мистецького життя Миргорода. Зустрічі з майстрами слова та молодими поетами, літературно–музичні вечорі, конкурси та презентації користуються успіхом у миргородців, а виставкова зала музею представляє творчі роботи талановитих миргородських митців – живопис, графіка, кераміка, фото, вишивка, плетіння... Усі ці мистецькі заходи збирають в залах музею велику кількість людей і свідчать про його багате і різноманітне духовне життя.

Дві години сплили швидко: зворушливі спогади Адешелідзе Т.І. (нащадок перших грузинських поселенців на Миргородщині), Розсохи Л.О. (дослідниця українського періоду життя Давида Гурамішвілі, авторки книги «Грузини в Україні. Шляхами Давида Гурамішвілі») змінювалися яскравим театралізованим виступом членів літературного клубу, створеного при музеї; привітання від поважних гостей – ніжною ліричною «Суліко» у виконанні учнів музичної школи. А чудова фотовиставка «О Грузіє, тебе обрали боги...» (технічне виконання В. Балацького) та цікаві вироби з кераміки в грузинському стилі миргородської майстрині В. Шевченко додали всім присутнім приємних вражень.

Головним же гостем свята був сам батоні Давид (його переконливо зіграв С Кузнєцов, один з членів літературного клубу), якій схвально спостерігав за дійством, висловлював свої думки й побажання, а в кінці частував всіх гостей святковим тортом.

У цей день гості свята вшанували і пам’ять великого поета Грузії. До пам’ятника Давидові Гурамішвілі та на його могилі лягли живі квіти від земляків та миргородців.

До численних поздоровлень, відзнак та подарунків, які отримав музей у день ювілею, приєдналось і яскраве привітання від творчого колективу грузинського культурно–освітнього центру м. Києва. Миргородці та гості свята із захопленням під гучні оплески зустрічали виконавців ліричних та запальних грузинських танців, чаруючі мелодії грузинських пісень і віршів, які майстерно і самовіддано виконували талановиті артисти.

Згасли вогні свята, змовкли урочисті звуки ювілею... Перегорнута ще одна сторінка Книги історії музею. Попереду – нові справи, нові творчі виставки, літературні вечори, презентації, зустрічі...

Миргородський літературно–меморіальний музей Давида Гурамішвілі повний сил та творчих планів, він впевнено дивиться у майбутнє.

ძვირფასო მეგობრებო!

კიევის ქართული კულტურულ—საგანმანათლებლო ცენტრი „იბერიელი“ და ქართული ხალხური მუსიკისა და ფოლკლორის სტუდია “კვირია” აცხადებს მსურველთა მიღებას შემდეგ წრეებზე: ფანდური, სალამური, ჩონგური, საეკლესიო გალობა (გურული, ქართლ—კახური კილოები), ქართული ხალხური სიმღერა.

წრეებს წარუძღვებიან პროფესიონალი მუსიკოსები და ფოლკლორული ტრადიციების ჭეშმარიტი გამგრძელებლები ფოლკლორისტ გიორგი მეტრეველის თაოსნობით. სტუდია საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან პერიოდულად მოიწვევს ქართული სიმღერის ლობტარებსა და ხალხური მუსიკის დიდოსტატებს მასტერკლასების ჩასატარებლად. „კვირიას“ გეგმაში მრავალი პროექტი იყრის თავს, რომელიც სხვადასხვა ფესტივალებსა და გასვლით კონცერტებს გულისხმობს.

მისამართი: ქ.კიევი, შულიავსკაიას ქ. 10/12. ტელ: +380 63 658 58 97; info@iberieli.org



ДОРОГІ ДРУЗИ!

Київський культурно–освітній центр «Іберіелі» та студія грузинської народної музики та фольклору «Квірія» оголошують набір бажаючих на наступні кружки: пандурі, дудка, чонгурі, церковний спів, грузинський народний спів. Заняття будуть проводитися професіональними музикантами та продовжувачами грузинських фольклорних традицій на чолі з фольклористом – Гіоргієм Метревелі. Студія періодично запрошуватиме майстрів з Грузії та інших країн для проведення майстер–класів. Заплановано багато проектів, які передбачають різні фестивалі та виїзні концерти. Адрес: м.Київ, вул.Шулявська, 10/12. тел.: +380 63 658 58 97; info@iberieli.org

საქართველოს კუთხეები: **კახეთი**

დავით კურტანიძე

КУТОЧКИ ГРУЗИИ: **КАХЕТИЯ**

Давіт КУРТАНІДЗЕ



საქართველოს უკლებლივ ყველა კუთხე გამოირჩევა თავისებური სილამაზითა და ტრადიციებით, მაგრამ თუ მთელი საქართველო მსოფლიოში ღვინის წარმოებითაა განთქმული, მაშინ ამ გადმოსახედიდან კახეთი საქართველოს გულია. სწორედ აქედან მოდის ყველა ტრადიცია და ისტორია რაც ღვინოსთანაა დაკავშირებული. ღვინის სახელთა უმეტესობაც კახეთის სხვადასხვა ადგილთაა დაკავშირებული. ეს მხარე სხვებთან შედარებით ნაკლებად მთიანია, მაგრამ არანაკლებ ლამაზი. ჯერ მხოლოდ ალაზნის ველის სილამაზე რად ღირს, სწორედ აქედან მოდის საქართველოს მევენახეობის ტრადიცია.

კახეთი XI — XII საუკუნეებში კახეთის სამეფოდ მოიხსენიებოდა, იგი განცალკევებული იყო საქართველოს სამეფოსგან. ახალშექმნილი სახელმწიფოს ცენტრი თელავში იქნა გადატანილი, ჩატარდა გარკვეული ადმინისტრაციული რეფორმა — სამეფო დაიყო 7 საერისთავოდ. ხოლო XII საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებელმა კახეთის უკანასკნელი მეფის აღსართან II-ის შეპყრობა და კახეთის სამეფოს შემოერთება შესძლო.

კახეთის დედაქალაქად ითვლება თელავი, იგი მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდილოეთ—აღმოსავლეთით კალთის ძირას და ალაზნის ვაკეზე. თელავი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძი, სამრეწველო, სასოფლო—სამეურნეო (მელვინეობის) და კულტურული ცენტრია. აქ არის პედაგოგიური უნივერსიტეტი, თეატრი, ისტორიულ—ეთნოგრაფიული მუზეუმი. ქალაქის ღირშესანიშნაობებია: ღვთაების ბაზილიკა (VI—VII სს.), ციხე—სიმაგრე ძველი გალავანი (X—XI სს.). თელავში არის ალავერდის ეპარქიის რეზიდენცია.

კახეთში ვიზიტისას აუცილებლად იხილეთ სიღნაღი, ეს პატარა, მაგრამ საოცარი ქალაქია რომელიც აუცილებლად დაგიტოვებთ სიმშვიდისა და სილამაზის გრძნობას. მიუხედავად იმისა რომ სიტყვა "სიღნაღი" თურქული წარმოშობისაა და "აუღებელს" ნიშნავს, ქართველები ხუმრობენ ამ სახელის ფრანგულ წარმოშობაზე. ქალაქი სპეციალურად მაღლა იყო აშენებული, მეტი თავდაცვისთვის, და მის გალავანში მოწყობილი იყო კარიბჭეები მის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის სწრაფი შეხიზნისთვის. სწორედ მისი გეორგაფიული მდებარეობის წყალობით იგი ითვლება საქართველოს ერთ—ერთ ულამაზეს ქალაქად, რომელიც გადაჰყურებს ალაზნის ველს და კავკასიონის

Грузия багатогранна: її куточки вирізняються своєрідною красою та традиціями, але в світі вона відома перш за все як країна виноробства. І з цієї сторони Кахетія – серце Грузії. Саме звідси починається історія вина та виноробства і походять усі традиції, пов'язані з ними. Навіть більшість назв грузинських вин асоціюються з різними кахетинськими місцями. Порівняно з іншими, цей край менш гірський, але не менш прекрасний. Чого тільки варта краса Алазанської долини, з якої походить грузинська традиція виноградарства.

В XI – XII століттях Кахетія була Кахетинським Царством, відділеним від Грузинської держави. Центр новоствореного царства перенесли в Телаві, провели адміністративну реформу, в результаті якої царство було поділено на сім регіонів. А наприкінці XII століття цар Давид «Агмашенебелі» зміг перемогти останнього царя Кахетії – Агсартана II і приєднати цю територію до Грузії.

Столицею Кахетії вважається місто Телаві. Воно розташоване в Алазанській долині, на північному сході від Гомборського хребта. Телаві – важливий транспортний, промисловий, сільськогосподарський (винний) та культурний центр. Тут є педагогічний університет, театр, історико—етнографічний музей. Визначні пам'ятки міста: Базиліка Божества (VI—VII ст.), фортеця «Дзвелі Галавані» (X—XI ст.) також в Телаві розташована резиденція Алавердської єпархії.

Під час відвідування Кахетії обов'язково пройдіться містом Сігнагі. Це маленьке, але незвичайне місто, яке залишить вам відчуття спокою та краси. Не дивлячись на те, що слово «Сігнагі» – турецького походження і означає «не беручий», грузини часто шуткують про його «французьке» походження. Для більшої безпеки місто спеціально побудували високо, а в його огорожі був зроблений вхід, через який жителі навколишніх сіл могли швидко дістатися укріплення. Саме через географічне положення Сігнагі (місто розташоване між Кавказьким хребтом та Алазанською долиною), воно вважається од-

ქედებს. ბოლო წლებში სიღნაღი უფრო გალამაზდა და ღამით საოცარი ადგილია სასეირნოდ. თბილი ატმოსფერო, ვიწრო ქუჩები და ლამაზი მრავალფეროვანი განათება — ხშირად ეს სწორედ ისაა, რაც ადამიანს სჭირდება.

არანაკლებ აღსანიშნავი ქალაქია წნორი. იგი მეტ—ნაკლებად ყველაზე ზუსტად გადმოსცემს კახურ ტრადიციას. ქალაქის ცენტრი ერთადერთი ადგილია რომელიც ქალაქს გავს, შემდეგ იწყება ხრეშის გზები, აქ მანქანას და ურემს დაახლოებით ერთი და იგივე ფუნქცია აქვს, სწორედ ამიტომ ამ ორი ტრანსპორტის გვერდიგვერდ ნახვა არავის არ აოცებს. კახელი საქართველოში ასოცირდება მსხვილ მხიარულ კაცთან, კოტიტა თითებით, რომელსაც ძალიან უყვარს დაღვევა, რომელიც ათასჯერ შევიპატივებს სახლში, ოღონდაც თავისი ღვინო გავასინჯოს და თავისი გული გადმოგიშალოს. აქ, როგორც საქართველოს ყველა სხვა კუთხეში, ისეთი სტუმართმოყვარე ხალხია, რომ ტურისტს სკეპტიკურად თითქმის არავინ არ უყურებს, როდესაც გაიგებენ უცხოელია ჩამოსულით, თქვენი დანაყრება და დათრობა კახელების მთავარ მისიად იქცევა. ასევე ნუ მოელოთ პუნქტუალურობის გრძნობას, რადგან აქ იგი არავის არ სჭირდება, ყოველდღიური რუტინული ცხოვრებით თითქმის არავინ ცხოვრობს, ასე რომ წინასწარ აპატიეთ კახელებს თუ წასვლის დღეს რეისზე დაგაგვიანდათ, რადგან წინა დღეს, დაგეგმილზე ცოტა მეტხანს გაგრძელდა ქართული სადღეგრძელოები.

კახეთი კიდევ ერთი გრანდიოზული ტრადიციით გამოირჩევა, ეს არის რთველი შემოდგომაზე. რთველი ყურძნის მოკრეფის პროცესია, რომელშიც მონაწილეობას ყველა იღებს. შემდეგ ყურძენი იწურება და ქვევრებში ინახება, სადაც იგი ღვინდება. ასე რომ, თუ კახეთში ჩამოსვლა გადაგიწყვეტიათ, სჯობს იგი შემოდგომაზე დაგეგმოთ, რათა უკეთ შეიგრძნოთ არა მარტო რთველის ზეიმი, არამედ ღვინის კეთების ქართულ ტრადიციასაც გაეცნოთ. კახეთი ძალიან თბილი და მხიარული კუთხეა საქართველოს აღმოსავლეთით, რომელიც ნამდვილად არ დაგტოვებთ გულგრილს და აგავსებთ პოზიტიური ემოციებით, ისე რომ შეიძლება წასვლა გადადოთ ერთი—ორი დღით რადგან ბოლო სადღეგრძელო ჯერ არ თქმულა.

ним з найгарніших міст Грузії. В останні роки Сігнагі став ще чарівнішим, особливо під час вечірніх прогулянок. Тепла атмосфера, вузькі вулиці та гарне різнокольорове освітлення – часто це саме те, що потрібно людині.

